ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 261 (19702) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲛᲐ — ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

70 ᲬᲠᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ თავაძემ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების მე-2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობას მიაშურა და მეცხოველეობის ფერმაში მწველად დაიწყო მუშაობა. შემდეგ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა და შარშან ზოოტექნიკის ფაკულტეტი წოთელ დიპლომზე დაამთავრა. ქალიშვილი მშობლიურ კოლმეურნეობას დაუბრუნდა და ახალშენებულ მეცხოველეობის კომპლექსში, სადაც ახლა 200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ, ზოოტექნიკოსად მუშაობს, თავისი წვლილი შეაქვს სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

სურათზე: ნანული თავაძე.

Ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 13 ნოემბრის სხდომაზე განიხილა მოსკოვში გამართული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების ხელმძღვანელთა საუშაო შეხვედრის შედეგები. მოიწონა რა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია ამ საკითხზე, პოლიტბიუროს აღნიშნა, რომ შეხვედრაზე ჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიციები პრაქტიკულად გამოხატავს მმართველი კომუნისტური და მუშათა პარტიების თანამოქმედების (კავლიერება ის, სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის პრიორიტეტული განვითარებისა და მსოფლიო სოციალიზმის განმტკიცების გეზს.

გამოითქვა კმაყოფილება შეხვედრის შედეგების გამო, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოძმე ქვეყნების პროგრესის დაჩქარების, ყველა დარგში მათი თანამშრომლობის დონის ამაღლებისთვის. როგორც პოლიტბიუროს სხდომაზე ითქვა, ეს განუყრელად უკავშირდება პროლეტარიუმი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპასუხისმგებლობის, ეკონომიკურ სფეროში ხელსაყრელობისა და ერთმანეთისადმი დახმარების პრინციპების საფუძველზე სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, საერთაშორისო საქმეებში შეთანხმებულ გეზთან თითოეულის ინიციატივის შეხამებას, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების გაზიარების ყოველნაირ გაფართოებასა და მის ერთობლივ განზოგადებას. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, თუ რაოდენ აქტუალურია ის, რომ განახორციელონ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების, მეურნეობრივი ურთიერთკავშირის ახალი, პროგრესული ფორმების გამოყენების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის განხორციელების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსი. ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობს მოძმე ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სოციალიზმის აღმშენებლობითი პოტენციალის სულ უფრო სრულ გამოვლენას.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდად აფასებს იმას, რომ მოძმე პარტიები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის პრინციპულ პოზიციას რეიკიავიკში და მნიშვნელოვნად მიახლია კიდევ უფრო გაიზარდოს სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი ღონისძიებანი ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მოსკოვის შეხვედრამ, რომელიც საქმიან, გულახდილ და თანასწორუფლებიანი და ამხანაგური ბჭობის კეთილმოსურნე ვითარებაში მიმდინარეობდა, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მიზანშეწონილია კომუნისტური და მუშათა პარტიების თანამშრომლობის ასეთი ფორმის დამკვიდრება.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მათემატიკის დარგში სამეცნიერო-კვლევითს სამეშაოთა გაძლიერების შესახებ. მეცნიერთა წინადადებების გათვალისწინებით ეს დადგენილება სახავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის დარგში კვლევის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება, სპეციალისტთა შემზადების ხარისხის ამაღლება, ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთა შრომის სტიმულირების სრულყოფა. გათვალისწინებულია შევიმუშაოთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მათემატიკური მოდელიერების მეთოდების ფართო გამოყენების საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამა.

პოლიტბიურომ განიხილა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ბუქარესტში გამართული 42-ე სესიის შედეგები და მოიწონა ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით საბჭოთა დელეგაციის მიერ გაწეული მუშაობა. თქვა, რომ სესიის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია არსებითი ნაბიჯი იქნება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის შესრულების, ჩვენი ქვეყნების სამეურნეო ორგანიზაციათა თანამშრომლობის ახალი პროგრესული ფორმების ყოველნაირი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნის გზაზე. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სესიაზე ორმხრივი სამთავრობათშორისო შეთანხმებების ხელმოწერა. რომლებშიც განსაზღვრულია პირდაპირი კავშირის გაფართოების, ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებსა და ორგანიზაციების შექმნის ღონისძიებანი. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში ატომური ელექტროსადგურებისა და თბომომარაგების ატომური სადგურების მშენებლობის სესიაზე მიღებული პროგრამამ შეაძლებლობას მოგვცემს კოოპერაციის საფუძველზე გავაუმჯობესოთ მოძმე ქვეყნების ენერგოუზრუნველყოფა.

პოლიტბიურომ მოიწონა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ხ. ფლორაკისთან ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის საუბრის შედეგები. ამასთან გამოითქვა კმაყოფილება ორივე პარტიას შორის ურთიერთობის მაღალი დონის, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მთელ პრობლემატიკაზე, ურთიერთგაგებისა და შეხედულებათა ერთიანობის გამო, აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტთა აქტიურ თანამოქმედებას საერთაშორისო და ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის, ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მოისმინა რა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. შულცთან ვენაში მოლაპარაკების შესახებ, პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ საჭიროა გაგრძელდეს ბრძოლა რეიკიავიკში მიღწეული ბირთვული განიარაღების გზაზე ისტორიული მიჯნების განმტკიცებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის კონკრეტულ მუშაობაში აქტიური ჩაბმისათვის, რომლის მიზანია იქ განხილულ საკითხთა მთელ კომპლექსზე თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპებზე დაფუძნებული ეფექტიანი შეთანხმებების მომზადება. ამისათვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი უნდა აიღოს არაკონსტრუქციულ პოზიციაზე, ცდებზე — გადასინჯოს რეიკიავიკის ურთიერთგაგების ძირითადი ასპექტები. დადასტურებულია საბჭოთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, გადაუდებლად წაიყვანოს საქმე 10 წლის პერიოდის მანძილზე ყველა სახეობის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების რადიკალური შემცირებისაკენ, შემდეგ კი მისი სრული ლიკვიდაციისაკენ კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებასთან შეხამებით.

განიხილეს ინფორმაცია იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამხანაგმა ჰ. ა. ალიევმა გამართა მოზამბიკის ხელმძღვანელობასთან სამორა მ. მაშელის დაკრძალვაში საბჭოთა პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მონაწილეობის კონტიგენტში, აგრეთვე დემოკრატიული იემენის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობასთან დაფნში გამართული საუბრის შესახებ. ამასთან დაკავშირებით პოლიტბიუროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოზამბიკელ ხალხს, რომელიც იცავს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობასა და უფლებას იაროს წინ სოციალური პროგრესის გზით, ისევე როგორც წინათ, შეუძლია იქონიოს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერის იმედი. განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მეცადინეობას, რომლის მიზანია ამ ქვეყანაში პროგრესული რეჟიმის განმტკიცება, დაადასტურეს, რომ უცვლელია საბჭოთა კავშირ-სამხრეთ იემენის მეგობრული ურთიერთობის ყოვლმხრივი განვითარებისათვის გამოზნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გეზი.

სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა ამხანაგ ა. პ. ბირიუკოვის ინფორმაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მოგზაურობის შედეგების შესახებ, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ

„ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი კარგი შედეგებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავს. აქაურმა მშრომელებმა მუყაითი გარჯით, თითოეულ უბანზე საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებით, პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებით შეძლეს მომხმარებლისათვის მიმდინარე წლის ათი თვის გეგმის დამატებით 517 ათასი მანეთის პროდუქცია მიეწოდებინათ.

საოქტომბრო სადღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეთაური ქარხნის ნ. მაგრაქელიძის ლითონშემრელთა, მ. ბეჟიანის მტვიფრავთა, ბ. ჩიჩიბაიას ავტომატების მტვიფრავთა, გ. ვაშაკიძის მღებავთა, ბ. გაგნიძის გალვანური დაფარვის, გ. გოგოლაძის პლასტმასების მწნეხავთა ბრიგადები, ელექტროავტომატის საწარმოს ა. მილაძის მექანიკური საამქროს დამამზადებელთა, გ. მაქაძის ელექტროშემდუღებელთა ბრიგადები. მათ ვადამდე შეასრულეს თერმეტი თვის დავალება და ახლა დეკემბრის ანგარიშში შრომობენ. თქმა, მარტო ამ ბრიგადებმა როდი ისახელეს თავი. საშვიდწლიმბროდ ასეთივე შედეგები მოიპოვა 500-მა მუშამ. ოქტომბრის წინა დღეებში გაერთიანებაში ერთი სიახლეც დაინერგა — ამოქმედდა ოთხფუძიანი წნეხფორმა, რომელსაც ერთ-ერთი სახეობის ავტომატის ძარის დასამზადებლად იყენებენ, ამან სამუშაოდან გამოათავისუფლა ოთხი კაცი და საწარმოს 27 ათასი მანეთი დაუზოგა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲗ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ

ᲥᲣᲘᲑᲘᲨᲘ. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის ზატის (დირექტორი — უ. გურეშიძე) კოლექტივი ერთ-ერთი უდიდესია ტყიბულში. ახლა აქ ამისათვის იბრძვიან, რომ ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანის ორი წლის სახელმწიფო გეგმა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულონ.

ორჯონიკიძელები სიტყვას არ ტეხენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებების პასუხად მოწინავე ზაზტის კოლექტივმა ვადაზე 8 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების ათი თვის გეგმა. აღსანიშნავია, რომ ზაზტის კოლექტივმა განვლილ პერიოდში ტონა ქვანახშირის თვითღირებულების 35 კაპიკით შემცირებით 56 ათასი მანეთი დაზოგა. იანვარ-ოქტომბერში თითოეულ მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,5 პროცენტით გაზრდილა.

საოქტომბრო შეჯიბრებაში დაწინაურდნენ იმ საექსპლოატაციო უბნების კოლექტივები, რომლებსაც მ. აბესაძე, ა. ერგემლიძე და ა. ჯანელიძე უძღვებიან. სადღესასწაულო შრომითს ვახტზე თავი ისახელეს კომუნისტური შრომის დამკვრელმა მეშახტეებმა ვ. სვანიძემ, ვ. მესხოლაძემ, ლ. გაბელაშვილმა, რ. ცნობილაძემ, რ. ცქიფურიშვილმა. ისინი დიდი ხანია 1987 წლის ანგარიშში შრომობენ.

ᲕᲛᲐᲠᲗᲝᲗᲝᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი გასული წლების პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კარგად მოემზადა ზამთრისათვის. მოსამზადებელი სამუშაოები შარშანდელი ზამთრის დამთავრებისთანავე დაიწყო. დღეისათვის რესპუბლიკაში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაზუთის ნაშთი 33.000 ტონით მეტია. ამდენი საწვავი გაზის მიწოდების სრული შეწყვეტის შემთხვევაში რესპუბლიკის საწარმოთა მუშაობას უზრუნველყოფს ორმოცი დღე-ღამის, ხოლო ჩვეულებრივ პირობებში — 63 დღე-ღამის განმავლობაში.

გამოტვლითი ცენტრი ყოველდღიურად ამზადებს ოპერატიულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც კომიტეტის სპეციალური კოლეგია კონტროლს უწევს ბაზებს, მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს, რათა საწვავი მაქსიმალურად გაიზიდოს ბაზებიდან მომხმარებელთან.

დღეისათვის თითქმის მთლიანად შევსებულია ტევადობები. რუსთავის ქიმიური ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, გორის ბამბეულის კომბინატისა და სხვა საწარმოთა რეზერვუარები სავსეა მაზუთით.

ტევადობათა შევსების სამუშაოები ზამთრის სეზონის დაწყებამდე გაგრძელდება და მაზუთის მარაგი რესპუბლიკაში მიაღწევს 600 ათას ტონას, ხოლო იმ ობიექტებზე, რომლებსაც კომიტეტი აკონტროლებს — 450 ათას ტონას.

კომიტეტის სისტემის მუშაობაში, როგორც იტყვიან, „ამინდს ქმნის“ თბილისის თბოელექტროსადგური. ამიტომ აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზამთრისათვის მზადებას. ეს თბოელექტროსადგური დღე-ღამეში მაქსიმალურად (გაზის მიწოდების შეწყვეტისას) 7.000 ტონა მაზუთს ხარჯავს, ჩვეულებრივ კი 1500-2000 ტონას. დღეისათვის მის რეზერვუარში 254 ათასი ტონა მაზუთია. მალე აქ დამატებით კიდევ 20 ათას ტონას მიიღებენ. ამდენი საწვავი მაქსიმალური დატვირთვისას თბოსადგურის მუშაობას 51 დღე-ღამის განმავლობაში უზრუნველყოფს.

კომიტეტის საკონტროლო ობიექტებს შორის ასევე მნიშვნელოვანი და მძლავრი საწარმოა ტყვარჩელის თბოელექტროსადგური და რეზერვუარი აქაც სავსეა.

საერთოდ, აღსანიშნავია ის არასასიამოვნო ფაქტი, რომ საწარმოებს ძალზე მცირე ტევადობები აქვთ სათბობის მოსამარაგებლად. მოსამზადებელ პერიოდში, როცა არის იმის საშუალება, რომ ბაზებიდან მეტი მაზუთი შემოიზიდოს, ზღუდავენ საწვავის შემოტანას იმის გამო, რომ ტევადობები არ ჰყოფნით. მართალია, გარდაბანში, სოხუმში და ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონში გაიზარდა ტევადობები წინა წლებთან შედარებით, მაგრამ ეს საკითხი მაინც სერიოზულ პრობლემად რჩება. საჭიროა სამინისტროების, გაერთიანებების, საწარმოების, სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ყველაფერი იღონონ სათბობის ტევადობათა მკვეთრი გადიდებისათვის, ზამთარი ყველას მკაცრად მოჰკითხავს.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, გადასაჭრელი რჩება არცთუ მთლად მეორეხარისხოვანი პრობლემები: რესპუბლიკას არა აქვს სარეზერვო სათბობის ფონდები (მოთხოვნილება 100 ათასი ტონაა), ცეკავშირსა და ვაჭრობის სამინისტროს ყოველწლიურად აკლდება 15-20 ათასი ტონა ნავთი და 20-30 ათასი ტონა საღუმლე საწვავი.

კვლავ პრობლემად რჩება მაზუთმზიდების ნაკლებობა. ამჟამად მოქმედი 108 მაზუთმზიდი არ არის საკმარისი. ამ მხრივ რესპუბლიკის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კიდევ არის საჭირო სულ ცოტა, 30-40 მაზუთმზიდი. ამ საკითხის მოგვარებაში გადამწყვეტი სიტყვა რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უნდა თქვას.

ᲐᲦᲕᲠᲘᲪᲮᲝᲗ ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲕᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲛᲘ ᲡᲐᲜᲕᲐᲕᲘ

დადები მხარეებთან ერთად ნაკლოვანებებიც ბევრია. ჭიათურდება სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების მსვლელობა თბილისის თბოელექტროცენტრალში, დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანებაში, ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანაში და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში. საქმეს ართულებს საფონდო დისციპლინის დარღვევებისა და სათბობის უყაირათო ხარჯვის შემთხვევები. მთელ რიგ შემთხვევებში სათბობის მარაგის უქონლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ზოგიერთ საწარმოში გაიზარდა დებიტორული დავალიანებები. ოქტომბრის დამდეგისათვის ამ დავალიანებამ 18 მილიონი მანეთი შეადგინა. სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, რომლებსაც ეს დავალიანებები აქვთ, მოვალენი არიან მაქსიმალურად მოკლე დროში მოაგვარონ თავიანთი საქმე. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესონ დაქვემდებარებული ობიექტების მიერ სათბობის რაციონალურ ხარჯვასა და საფონდო დისციპლინის დაცვას. ყველაფერი ვიღონოთ შეუფერებელი გამოზამთრებისათვის.

Ն. ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲔᲬᲧᲝᲑᲘᲐᲜ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის წევრ კომუნისტთა მუშაობის სტილისა და მეთოდების საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა, კოლეგია, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. 101 პროცენტით შესრულდა ტვირთბრუნვის, 102,8 პროცენტით — მგზავრთბრუნვის, 102,8 პროცენტით — სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმები.

გადაისინჯა სამინისტროს მუშაობის რეგლამენტი, შემცირებულია ნაირ-ნაირი სხდომების, თათბირების, მოკმედი კომისიებისა და შტაბების რიცხვი.

ამავე დროს გარდაქმნა პარტიის მოთხოვნების მიხედვით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში ფორმალურად მიმდინარეობს. სულაც ებრძვიან ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც უშრომელი შემოსავლის წყაროო გახდა.

კოლეგიის წევრი კომუნისტები უამრავ გადაწყვეტილებას იღებენ, ამა თუ იმ დადგენილების შესრულების კომპლექსურ გეგმებს ადგენენ, მაგრამ არავითარ პირად მაგალითს არ იძლევიან მათს განხორციელებაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ კოლეგიამ პრაქტიკულად სამინისტროს წინაშე დასახული ამოცანების შესრულების უნარი ვერ გამოიჩინა. აქ მიღებული გადაწყვეტილებანი ხშირად კონკრეტული არ არის, ვერ კონტროლდება და ფორმალურად სრულდება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად მატულობს სამართალდარღვევები, რომლებსაც დარგის მუშაკები სჩადიან, და მექრთამეობის შემთხვევებიც კი არის. წელს ქრთამისათვის სამართალში მიეცენენ თბილისის საწარმოო გაერთიანება „სატრანსი“ ყოფილი გენერალური დირექტორი ი. ს. ბაკაკაშვილი და №8 ავტოკოლონის უფროსი ნ. გ. ჯავეშავაძე, გამოვლენილია მასობრივი ბოროტმოქმედების ფაქტები №3 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოში.

კოლეგია ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობს დარგს, რის გამოც ფართოდ გავრცელდა გამომძალველობა არა მარტო სამუშაოზე მიღების, არამედ ახალი ავტომობილების განაწილების, ზჩირდა რემონტის, მომსახურების გაწევაში, ეგრეთ წოდებული „სარფიანი“ რეისების მიცემის დროსაც.

წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლის მცირე ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ სამინისტროს კოლეგიის წევრთა ხელმძღვანელობის საქმიანობაში ჯერ ნაკლოვანებები, მათს მუშაობაზე კარგად მოფიქრებული სისტემა და თანამიმდევრობა არ იგრძნობა. კოლეგიის წევრი ო. შ. დარჯანია არ იძლევა პირად მაგალითს ამ და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან უკომპრომისო ბრძოლაში, ცდილობს შეცვალოს იგი ნომენკლატურულ მუშაკთა ფორმალური და უმაქნისი გადაადგილებებით.

სერიოზულ საყვედურს იმსახურებს საკადრო რეზერვის ორგანიზაცია და მინისტრის მოადგილის ა. ზ. შაშიაშვილის მუშაობა, რომელიც ამ უბანს ხელმძღვანელობს. სახელგატეხილ მუშაკთა ერთი ხელმძღვანელი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვან-გადმოყვანას, ავტოსაწარმოებში სამუშაოზე მიღების დროს გამომძალველობას, სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელის მხრივ აშკარა პროტექციონიზმს იგი საკადრის პასუხს ვერ სცემს და პრინციპულ შეფასებას არ აძლევს.

მოთხოვნებს არ შეესაბამება სამინისტროს ისეთი დიდი ქვეგანაყოფების მუშაობის დონე, როგორიცაა საწარმოო გაერთიანება „ავტოტრანსტექნიკის“ ტვირთზიდვის სამმართველოები, რომლებსაც მეთაურობენ კოლეგიის წევრები ა. პ. ჩხეიძე და გ. გ. ცომაია.

სამინისტროს კოლეგიის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებების, აგრეთვე ბევრი მისი მეურნეობისა და სამსახურის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ სათანადო მომთხოვნელობასა და პასუხისმგებლობას არ იჩენს მინისტრი თ. ნ. დავითაშვილი თავისი მოადგილეებისა და დაქვემდებარებული საწარმოების ხელმძღვანელებისადმი, აკლია უპრინციპობას, არათვითკრიტიკულობისა და ლიბერალიზმს ნეგატიური მოვლენების შეფასების დროს.

სამინისტროს აპარატის პარტბიუროს (გ. ა. ოროდნაია) ყოველთვის სწორად არ ესმის თავისი ამოცანები, მკაცრად არ მოითხოვს, რომ კომუნისტები, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელები ხუთტად იცავდნენ სკკპ წესდებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ცნო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის მუშაობა სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ამხ. თ. ნ. დავითაშვილი მკაცრად გააფრთხილეს, რომ პერსონალურად აგებს პასუხს, თუ გადამწყვეტი ღონისძიებანი არ განახორციელა სამინისტროს კოლეგიის საქმიანობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. აღინიშნა, რომ კოლეგიის წევრები — საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის მინისტრის მოადგილეები ა. ს. გოშაძე და ა. ზ. შაშიაშვილი, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსი ო. შ. დარჯანია სუსტად ხელმძღვანელობენ დაქვემდებარებულ დარგებს, სამინისტროს საწარმოებსა და ქვეგანაყოფებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ დაქვემდებარებული საწარმოებისა და სამსახურებისადმი ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, სამინისტროს დამბმარე მეურნეობის მუშაობაში და ვაღისათვის ბინის მიღების დროს დაშვებული დაძრღვევებისათვის, არაკეთილსინდისიერ მუშაკთა მფარველობისათვის მინისტრის პირველი მოადგილე, სკკპ წევრი რ. გ. ლეიაშვილი იმსახურებს სამუშაოდან განთავისუფლებასა და პარტიულ სასჯელს. მაგრამ, გათვალისწინა რა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და თხოვნა პენსიაზე გადასვლის შესახებ, იგი განთავისუფლებულია თანამდებობიდან პირადი გასტანდებიდან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საბურთალოს რაიკომს (ი. ი. ხუციშვილი) წინადადება მიეცა განახორციელოს ავტოტრანსპორტის სამინისტროს აპარატის პარტიული ბიუროს მუშაობის შემდგომი გაჯანსაღების ღონისძიებანი, უფრო მკაცრად მოჰკითხოს სამინისტროს ხელმძღვანელ კომუნისტებს პარტიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნისათვის.

მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობის განმტკიცების შესახებ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ

ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

სსრ კავშირის 1987 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების წინასწარი განხილვა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ამ მიზნით შექმნილმა თვრამეტმა მოსამზადებელმა კომისიამ ცალკეული დარგების მიხედვით. მათ მოისმინეს მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების, მინისტრთა საბჭოების ხელსანებები. დეპუტატთა ერთსულოვანი შეფასებით, ორივე პროექტი უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის სტრატეგიული კურსის პრაქტიკულ რეალიზაციას. მათი წინასწარი განხილვის შედეგები შეაჯამეს 13 ნოემბერს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების საბოლოო პლენარულ სხდომაზე სხვა მუდმივი კომისიების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

1987 წლის გეგმა და ბიუჯეტ მზედროდ არის დაკავშირებული მიმავალ 1986 წელთან, მასში ხორცი უნდა შეესხას განვითარების საკვანძო პრობლემების გადაწყვეტისადმი ახალ მიდგომას, განხორციელდეს ღონისძიებათა ფართო კომპლექსი, რომელთა მიზანია ეკონომიკაში მიღწე

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკური გაერთიანების „საქაგრომშენის“ საწარმოებში რკინიგზის ტრანსპორტის გამოყენების საკითხი და სათანადო დადგენილება მიიღო.

რესპუბლიკური გაერთიანების „საქაგრომშენის“ ზოგიერთი საწარმო და ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ასრულებს რკინიგზის ვაგონების რაციონალური გამოყენების შესახებ პარტიისა და მთავრობის მითითებებს, რის გამოც მასობრივია მოძრავი შემადგენლობების ზენორმატიული მოცდენები, რკინიგზის სადგურებიდან ტვირთის გაუტანლობა, არამწარმოებლური ხარჯების ზრდა.

წლევანდელ რვა თვეში გაერთიანების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ნორმის გადამეტებით 4934 ვაგონი მოაცდინეს, რისთვისაც ისინი რკინიგზამ 152 ათასი მანეთით დააჯარიმა.

„საქაგრომშენინდუსტრიის“ ტრესტის ხელმძღვანელობა სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მანქანებითა და მექანიზმებით აღსაჭურვავად, ესეც არის ერთერთი მიზეზი იმისა, რომ მისმა რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნებმა თავიანთ მისასვლელ გზებზე 8 თვის მანძილზე ნორმის გადამეტებით 1356 ვაგონი მოაცდინეს.

ვაგონები კვლავ ცდება

განსაკუთრებით ცუდად არის ორგანიზებული გაერთიანების კუთვნილი ტვირთის ჩამოცლა საერთო სარგებლობის გზებზე. წლეულს აქ 2511 ვაგონი 31655 ვაგონსაათით გაჰჯერეს, რისთვისაც 119 ათასი მანეთის გადახდა დაეკისრათ. ამ მხრივ სცოდავენ № 1, 4, 5, 7, 11 და 13 ტრესტები.

საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონის ბრალია, რომ რკინიგზის სადგურებში, საკვირთო ეზოებსა და განსაკვირთო მოედნებზე სისტემატურად ხანგრძლივად აწყვია გაერთიანების ტვირთი, რისთვისაც მას დიდძალი თანხის გადახდა უხდება, სახელმწიფოს კი მნიშვნელოვანი ზარალი ადგება.

შემოწმებამ როგორც რკინიგზის სადგურებში, ისე „აგრომშენინდუსტრიის“ ტრესტის საწარმოებში გამოავლინა სხვადასხვა დამახინჯების მრავალი ფაქტი. ამ ტრესტის მარტო 6 საწარმოში გადახდილი ტვირთის წონა 102 ათასი ტონით გაზარდეს. განსაკუთრებით დიდი წამატებები დაუშვეს № 4 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანასა და ივრის რკინიგზის სადგურში. აქ ამავე დროს ვაგონების ტვირთობისა და ტვირთმზიდველობის სანახევროდ აუთვისებლობის გამო ზედმეტად გამოიყენეს 822 ვაგონი, რაზეც 38 ათასი მანეთი დახარჯეს. წამატებების ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე მარნეულის, ლილოს, მახარაძისა და აგარის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნებში, ნოსირის სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატსა და ქუთაისის რკინაბეტონის კონსტრუქციების პოლიგონზე.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გაერთიანება „საქაგრომშენის“ ხელმძღვანელობა და რკინიგზის ივრის სადგურის უფროსი ე. გელაშვილი.

„საქაგრომშენინდუსტრიის“ ტრესტის მმართველის მოადგილეს რ. ბოლქვაძეს გამოეცხადა საყვედური. № 1, 4, 9 და 11 ტრესტების მმართველების მოადგილეებს ბ. თოდუას, ნ. ბერიძიშვილს, ხ. ონუფრიადისა და თ. მეტრეველს გამოეცხადათ საყვედური და დაეკისრათ ორ-ორი თვის ხელფასის შესაბამისი ფულადი დარიცხვა.

შემოწმებითი გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებში დამნაშავე სხვა პირების დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავენ შესაბამისი სახალხო კონტროლის კომიტეტები და „საქაგრომშენის“ ხელმძღვანელობა.

კომიტეტის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მონაცემარგლების ელექტრომომარაგების გასაუმჯობესებლად „საქმთავარენერგოს“ ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის, შემოდგომა-ზამთრის სეზონში შეუფერხებელი მუშაობისათვის ბალთმოს, რუსთავისა და გორის ზოგიერთი საწარმოს მზადყოფნის შემოწმების შედეგები და სხვა საკითხები.

ბოლო მოვუღოთ უქაირაობას

დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის კურსი, რომელიც ჩვენმა პარტიამ დასახა, მოითხოვს, რომ ყოველი მანეთი, თითოეული გრამი ნედლეული, მასალა იყოს აქტიურ მიმოქცევაში, ხმარდებოდეს სახალხო მეურნეობის განვითარებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას. სკკპ XXVII ყრილობამ მოგვიწოდა, მომჭირნე ვიყოთ ყველგან და ყველაფერში — წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში, გულგრილად არ ავუაროთ გვერდი უყაირათობასა და მფლანგველობას.

რასაკვირველია, მეტი წილი საწარმოები, ორგანიზაციები თუ დაწესებულებები ცალსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რესურსების მომჭირნე და რაციონალურ ხარჯვას, მაგრამ, სამწუხაროდ, არის საწარმო-დაწესებულებათა გასაკვეული ნაწილი, სადაც ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ რა ძვირი უჯდება თანამედროვე პირობებში ქვეყანას თითოეული ტონა ნავთობის, მაზის, ქვანახშირის, სხვადასხვა საშენი მასალების მოპოვება და მიწოდება, არ იჩენენ თადარიგიანობას, უყაირათოდ ეპყრობიან მატერიალურ რესურსებს, არ ზრუნავენ მათი უდანაკარგო გამოყენებისათვის.

ეს ნათლად დაგვანახვა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის სრულად განტვირთვის მეცნიერულობის შემოწმებამ, რომელიც სახალხო კონტროლიორებმა პარტიული ორგანოების დავალებით მოაწყვეს.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები და საწარმოები დამაკმაყოფილებლად არ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ეფექტიანობის გადიდებისა და ნედლეულის, მასალებისა და სხვა ტვირთის გადაზიდვისას დანაკარგების თავიდან აცილების შესახებ.

ამ მხრივ შექმნილი ძრასახარბიელო მდგომარეობის მიუხედავად, ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილებებისა და, ბევრი სადგურის ხელმძღვანელები შეეგუენ არანორმალურ ვითარებას, სჯერდებიან ჯარიმების წარდგენას და სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ მათი აღკვეთისათვის, ცისტერნა-ვაგონების არასრული დაცლა და ტვირთის დანაკარგები არ მიიჩნიათ სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზარალად. წელს 8 თვეში ტვირთის ნარჩენებისაგან ვაგონების არასრული დაცლა-დასუფთავებისათვის ჯარიმებმა 986 ათასი მანეთი შეადგინა.

ძალზე ცუდი მდგომარეობა შეიქმნა 1985 წლის დამლევს და 1986 წლის დამდეგს ჩვენი რესპუბლიკის ტვირთმიმღებთა მიერ ცისტერნებიდან და ბუნკერული ნახევარვაგონებიდან ნავთობპროდუქტების მთლიანად გადმოტვირთვის უზრუნველყოფის საქმეში, სამწუხაროდ, ამის გამო უამრავი საჩივარი მოდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, სადაც რკინიგზის მოძრავი შემადგენლობები დამატებით ცდება დარჩენილი ნავთობპროდუქტების გადმოტვირთვის მოლოდინში.

როგორც სატრანსპორტო დოკუმენტების ანალიზმა გვიჩვენა, შარშან წლის ბოლოს და მიმდინარე წლის დამდეგს ჩვენი რესპუბლიკის ტვირთმიმღებებმა მთლიანად არ გადმოტვირთეს 100-ზე მეტი ცისტერნა და ბუნკერული ნახევარვაგონი, რის გამოც სხვა გზების სარეცხ პუნქტებში აღმოაჩინეს 180 ათასი კილოგრამი ნავთობპროდუქტები. მთელი ამ რაოდენობიდან 49,8 ათასი კილოგრამი ტვირთი მოდის რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის ნავთობბაზებზე.

ცუდად ცლის ცისტერნებს ეშერის რკინიგზის სადგურში ყურადღებას არ აქცევენ ვაგონსოხუმის ნავთობბაზა. შარშან ნოემბერ-დეკემბერ-იანვარში ... დაცლა-დასუფთავებას ხვეზ. მერ მოწლის პირველ ნახევარში ... დროს ირაცხა ცისტერნებიდან ... ...

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲡᲐᲮᲔᲑᲐ

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲘᲙᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲘᲚᲘᲐ და „ივერია“ ყოველი ქართველის ცნობიერებაში სამუდამოდ ერთმანეთისგან განუყოფელი ცნებებია! „ივერიის“ დროშას თავისუფლად შეიძლება დაეწეროს ილიას სიტყვები: „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა“.

სკკუთარი ორგანოს უქონლობა დიდად უშლიდა ხელს „საქართველოს მოამბის“ ყოფილ რედაქტორს თავის იდეურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში და მისი გამოცემის ფიქრი დუშეთში სამსახურის დროსაც კი არ აძლევდა მოსვენებას.

1870-იანი წლების მეორე ნახევრისთვის ამას ზედ დაერთო ყველა იმ ქართული ჟურნალის („მნათობი“, „კრებული“, „ცისკარი“) დახურვა, სადაც ილია მეტ-ნაკლებად, ასე თუ ისე თანამშრომლობდა, ხოლო ერთადერთი ქართული გაზეთის „დროების“ რედაქციასთან 1876 წელს მას უთანხმოება მოუვიდა, რის გამოც, ახალი საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს დაარსების აუცილებლობა ილიას წინწაშე მთელი სიმწვავით დადგა.

სწორედ ამ დროს არის გადაღებული აქ წარმოდგენილი ილიას პირველი სურათი. აქამდე მისი ზუსტი დათარიღება არ უცდიათ. ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ამ სურათის დედნის ზურგზე ნაწილობრივ გადარჩენილი რუსული წარწერა გვაუწყებს: „ძია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის (სურათი). 1876 წლის 17 თებერვალი. ქ. ტფილისი“. მაშასადამე, ილიას აღნიშნული სურათი 1876 წელს არის გადაღებული თბილისში.

„საქართველოს მოამბის“ იდეური მემკვიდრის დაარსების სამზადისს ილია 1876 წელს შეუდგა, რაც 1877 წლის 3 მარტს ახალი ყოველკვირეული გაზეთის „ივერიის“ პირველი ნომრის გამოცემით დაგვირგვინდა. 1879 წლიდან „ივერია“ უკვე ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდა, ხოლო 1880 წლიდან, როცა „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციები შეერთდა, „ივერია“ ყოველთვიურიდან სამთვიურ ჟურნალად იქცა. 1881 წელს „ივერია“ კვლავ ყოველთვიურ ჟურნალად იქნა აღდგენილი, 1886 წლის 1 იანვრიდან კი ყოველდღიურ გაზეთად იწყო გამოსვლა.



თუ „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავების“ გამომცემლებს (1907, გვ. 19) დაკუჟერებთ, 1878 წელს უნდა იყოს გადაღებული ილიას ერთი პორტრეტი, როცა იგი ახლად დაარსებულ ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიას“ რედაქტორობდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ, როგორც დედან ფოტოზე გაკეთებული დამღიდან ირკვევა, ილიას ეს სურათი პეტერბურგში გადაუღია მთელ რუსეთში სახელგანთქმულ პეტერბურგელ ფოტოხელოვან ს. ლევიცკისთან. 1878 წელს კი პეტერბურგში ილიას დანამდვილებით ყოფნა ცნობილი არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ აპარის შემოერთებასთან დაკავშირებით თბილისში 1878 წლის 20 ნოემბერს გამართულ სადილს ილია ჭავჭავაძე არ დასწრებია, რადგან „ამჟამად ქალაქში არ იმყოფებოდა“ (იხ. „დროება“, 1878, № 239, გვ. 1-3), სამაგიეროდ, კარგად ვიცით, რომ ბანკის საქმეების გამო 1884 წლის ზამთარში ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში იმყოფებოდა (იხ. პეტერბურგიდან ამ დროს ოლღასადი გამოგზავნილი ილიას წერილები. ტ. X, გვ. 365-375). მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ცნობილ პეტერბურგელ ფოტოგრაფ ს. ლევიცკის ილიას სურათი სწორედ 1884 წლის ზამთარში გადაუღია და აღნიშნული ფოტოსურათიც ამ წლით უნდა დათარიღდეს (ხსენებულ სურათს გამოვაქვეყნებთ ცალკე წერილში, რომელშიც შეეხებით იმ ფოტოხელოვანთ, რომელთაც სხვადასხვა დროს გადაუღიათ ილია).

ასაკობრივად ამ სურათთან ახლოს არის ვერის ბაღში (დღევანდელ ფმირთა მოედნის ახლოს, ზოოპარკის მიდამოებში) ნადიმზე გადაღებული ილია ჭავჭავაძე, რომელიც განცალკევებით დგას ხის ძირში (სურათზე აღვნიშნეთ ნახევარწრით) და სადღეგრძელოთი მიმართავს შეკრებილთ.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲐᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ!

ᲛᲘᲐᲒᲔᲜ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲒᲡ...

ᲩᲕᲔᲜᲘ ეკონომიკის თითოეულ დარგს თავისი პრობლემები, თავისი განსაკუთრებული ამოცანები აქვს. მაგრამ არის ერთი რამ, ყველასათვის საერთო, რომელზეც ხშირად გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული წარმატება. ეს არის აღმზრდელობითი საქმიანობა. პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ნათქვამია: „ყოველი ჩვენი გეგმა მაერში დაგვრჩება გამოკიდებული, თუ ადამიანებს გულგრილს დავიტოვებს, თუ ვერ გავაღვივეთ მასების შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობა, მათი ენერგია და ინიციატივა“.

როგორ გავუღვივოთ ადამიანებს აქტიურობა? რა უნდა იღონონ საამისოდ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, მთელი სოფლის აქტივმა? „კომუნისტის“ კორესპონდენტის მიერ დასმულ ეი ამ კითხვებზე გაიმართა სკკპ-ბაასი ბოლნისის მეკვინახეობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც პარტიის ბოლნისის რაიკომში გაგრძელდა.

ᲛᲘᲡᲙᲝᲚᲝᲒᲘᲡᲐᲡ დიდი ბელადის მითითება გაიხსენეს: „შეუძლებელია ადამიანი იდეური ხელმძღვანელი იყოს, თუ... თეორიული მუშაობა არ აწარმოა. ისევე, როგორც შეუძლებელია ის ისეთი ხელმძღვანელი იყოს, თუ მუშაობა არ წარმართა საქმის მოთხოვნილების მიხედვით. თუ... ამ თეორიის შედეგების პროპაგანდა არ გასწია“. ჩემი ოცდაათწლიანი საქმიანობის მანძილზე დავრწმუნდი ამ სიტყვების სიბრძნეში, ყოველთვის ვცდილობ თითოეულ ადამიანამდე მივიტანო პარტიის მართალი სიტყვა, თქვა მეურნეობის დირექტორმა ნოდარ კობახიძემ, ამას სხვადასხვა ფორმით ვაღწევ — პოლიტსკოლებსა და თეორიულ სემინარებზე გამოსვლით, ლექციებით, მოხსენებებით, განსაკუთრებით კი ინდივიდუალური მუშაობით. ამ ფორმას ადგილ მნიშვნელობას ვანიჭებ. ეს, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია. რამდენჯერ გულდაგულ, ერთი ერთზე მისაუბრია ზარმაცსა და უქნარასთან, ხულიგანთან და პოტენციურ დამნაშავესთანაც კი. დამირწმუნებია ისინი, რომ თავიანთი მოქმედებით ხელს უშლიან ჩვენი საზოგადოების წინსვლას. ამ საუბრის შემდეგ ბევრს მტკიცედ გადაწყვეტია და სიტყვა მოუცია, რომ ცხოვრების სწორ გზას დაადგებოდა, და ასეც მომხდარა. მათ შორის ზოგი შემდგომში წარმოების ნოვატორი, წარჩინებული გახდა. ასეთი მაგალითები ძალას მმატებს. რწმენა, რომ მივაგენი ადამიანების გულის გასაღებს, ინტერესს მიათკეცებს, ვცდილობ ყოველი ჩემი საუბარი გულწრფელი, მართალი, ახლობლური იყოს. პარტიის იდეური მებრძოლის ყოველ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით კი — ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკისას. ჩვენი ბრიგადირები, მაგალითად, ლევან თხინვალელი, ენდისი უგრეხელაძე, ვლადიმერ რეხვიაშვილი და სხვები თავიანთ უბნებზე მოწინავე აგიტატორებიც არიან, მთავარი ზოოტექნიკოსი რომეო ჩაგელიშვილი მოწინავე პოლიტინფორმატორია და ა. შ. ისინი მუდამ ცდილობენ თეორიული მსჯელობა მჭიდროდ დაუკავშირონ მეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს და აღწევენ კიდეც სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

ამგვარი მუშაობის შედეგიც არის, რომ ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს 6 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მივყიდეთ და ვალდებულება პირნათლად შევასრულეთ. მოვიწიეთ მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის ჩინებული მოსავალი. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, 9 თვეში გადაჭარბებით შევასრულეთ სახელმწიფოსთვის ხორცისა და რძის მიყიდვის წლიური გეგმა. წინასწარი გამოანგარიშებით, მეურნეობის წმინდა მოგება წელს 1,5 მილიონი მანეთი იქნება, რაც სამჯერ აღემატება შარშანდელს.

საუბარი მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვალერიან დევნოზაშვილმა განაგრძო. ყრილობის მასალებს, ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, თქვა მან, ჩვენ კვლავ და კვლავ შევისწავლით, მათში მოცემულია მოქმედების პროგრამა მრავალი წლისათვის. დღეს ჩვენთვის ნათელია, რომ მუშაობის სტილის გარდაქმნა ყველა ჩვენს პარტიულ ორგოლში, განსაკუთრებით კი ადამიანთა აღზრდის სფეროშია საჭირო.

და აი, ვფიქრობ: რატომ მოხდა, რომ წინა ხუთწლედში ჩვენმა საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს დააკლო რვა ათას ტონაზე მეტი ყურძენი, 300 ტონამდე მარცვლეული? ვისი ბრალია ეს? ვიფიქრ მხოლოდ ცუდი ამინდის? მაგრამ ვინ ირწმუნებს ამას, როცა ჩვენი მეურნეობის ქვეგანაყოფებს ერთნაირ პირობებში სრულიად განსხვავებული შედეგები ჰქონდათ? შარშან მეურნეობაში საშუალოზე ნაკლები მოსავალი მიიღეს ა. ყიფიანის, ზ. ნამაზოვის, ი. უუეფნაშვილის ყოფილმა აგროუბნებმა, მ. ბარამოვის, ო. ომაროვის, მ. გასანოვის, მ. კასუმოვის ბრიგადებმა. წელს მეურნეობის პირველმა ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 82 ცენტნერი ყურძენი მოიწია. ყველა ბრიგადამ ამ მაჩვენებლისათვის რომ მიეღწია, ეს დამატებით ათას ტონამდე პროდუქცია იქნებოდა. მაშასადამე, შესაძლებელზე ნაკლები პროდუქციის წარმოება კოლექტივის, განსაკუთრებით კი ჩვენი, კომუნისტების ბრალია, რომლებიც მეურნეობის მშრომელთა საერთო რაოდენობის თითქმის მესამედს, ანუ 190 კაცს შევადგენთ. ამინდი მართლაც ცუდი იყო, მაგრამ უნდა გაგვეაქტიურებინა ადამიანის ფაქტორი, დაგვერაზმა კოლექტივის ყველა წევრი, ჩავწვდომოდით მთ სულსა და გულს. უამისოდ დაჩქარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

— ზოგადი საუბრისა ნაკლებ მჯერა, — ჩაერია საუბარში მოწინავე მწველავი გალინა ბერძენაძე, — კონკრეტულად უნდა გავერკვეთ თითოეული საწარმოო უბნის პრობლემებში. მოდით, ვნახოთ, რა გვაქვს და რა გვაკლია. ავიღოთ უპირველესად კარების პროფესიული მომზადება. ახლანდელი მუშის ცოდნა თითქმის ინყინრისას უტოლდება. წარმოებაში ყველა შრომატევად პროცესს, მცირე გამონაკლისის გარდა, მანქანები ასრულებენ. ისინი საკმაოდ გვაქვს. მაგრამ მექანიზაცია არაფრად ღირს, თუ მას თავისი საქმის მოყვარული ადამიანი არ უვლის.

აი ავიღოთ თუნდაც ჩვენი სარძეო-სასაქონლო ფერმა. გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ, გული კი გვეთანაფრება, სინდისი გვქენჯნის, გვრცხვენია ვთქვათ, რომ ერთი ძროხის საშუალო ფლადობა, თუმცა საგეგმოს გადააჭარბა, მხოლოდ 2 ათასი კილოგრამია. რესპუბლიკის მოწინავე მეურნეობებში კი გაცილებით მეტს წველიან. მიზეზი? ყველა რეზერვს მთლიანად ვერ ვიყენებთ. უწინარესად ფერმა უნდა დაკომპლექტოთ დიდროდუქტიული, ჯიშიანი პირუტყვით, გადავიყვანოთ შრომის ანაზღაურებისა და ორგანიზაციის საიჯარო მეთოდზე, რაც ჭიანურდება. სხვა საკითხზეც უნდა შევაჩერო ყურადღება: ჩვენი მეურნეობა წელს რაიონში კი არა, რესპუბლიკაშიც ერთ-ერთი მოწინავეა, ყველა დარგი მომგებიანია, მაგრამ ჩვენ შორისაც არიან კოლექტივის მოღალატენი, რომლებიც შრომას გაურბიან, აფერხებენ საქმეს. ჩვენ კი არ გვყოფნის ვაჟკაცობა, ასეთებს პირში ვუთხრათ სათქმელი მკაცრად.

— მართალია, და ასეთ ყოვლისმომტევებლობას ბოლო უნდა მოეღოს, — განაცხადეს პარტკომის წევრებმა, მევენახეობის ბრიგადირმა გიორგი ხეცურიანმა და მექანიზაციის საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ვანო ქარჩუბაშვილმა. მათ გაიხსენეს, როგორ დაგმო პარტიულმა კრებამ თავის დროზე კომუნისტ ბ. მუშკუდიანის საქციელი, რომელიც ურიგო მუშაკად ძრ ითვლება, მაგრამ ერთ დღეს გამოთვრა და საზოგადოებრივ ადგილზე აყალმაყალი ატეხა. მან სწორად აღიქვა კოლექტივის გულისწყრომა და კიდეც გამოსწორდა. ახლა ეგი სამშენებლო ბრიგადის მოწინავე წევრია.

— პარტიულ ორგანიზაციას კვლავაც დიდი პრობლემები აქვს გადასაჭრელი, — განაგრძო საუბარი მეურნეობის მთავარმა ინჟინერ-მექანიზატორმა დავით კვირნაძემ. — ხუთრობა ხომ არ არის, პარტკომში გვაქვს ასეთი ციფრები: 1984 წელს საბჭოთა მეურნეობაში 9,500 კაცდღე გაცდა. მართალია, შარშან ეს ციფრი ორჯერ შემცირდა, ხოლო წელს სამჯერ და მეტად, მაგრამ მაინც დიდია. ერთი სიტყვით, შემცირდა ზარმაცთა რიცხვი, მაგრამ ისინი საერთოდ არ უნდა გვყავდეს! მათ გამო დიდძალი პროდუქცია დავკარგეთ. არა, არ უნდა დავჯერდეთ მიღწეულ წარმატებებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევას უნდა ჩავუღრმავდეთ.

— ჩვენი ნიადაგი რაიონში ყველაზე უკეთესი როდია, — თქვა მეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ მამედ ბაირამოვმა. — ასეთ მიწაზე ძნელია მოსავლის მოწევა, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით მოსავლიანობის მკვეთრად გაზრდა. აქ სწორად ითქვა: ეს შესაძლებელი გახდა მეურნეობის მუშათა შეგნების დონის ამაღლებით, ადამიანის ფაქტორის ჯეროვანი შეფასებით. რა დასაფარია და, სულ ახლახანს ჩვენს მეურნეობაში ბევრი იყო ზარმაცი, იოლი ცხოვრების მოტრფიალე, წამგლეჯი. ჩვენ, კომუნისტები, თვალს ვარიდებდით ამგვარ ფაქტებს, ვერიდებოდით, მკაცრად მოგვეთხოვა პასუხი უგვრგილობის, საწარმოო, ტექნოლოგიური დისციპლინის დამრღვევებისათვის, ზოგიერთები კი ხშირად მავნე პოზიციასაც ვიკავებდით: რა ჩვენი საქმეა, ვისაც რა უნდა, ის აკეთოსო. ყოველივე აქედან დასკვნები უკვე გამოვიტანეთ და შედეგებიც უკეთესი გვაქვს.

საუბარში ჩაერია პარტკომის წევრი, მოწინავე მევენახე ლიანა ქობულაძე. სამართლიანად აღინიშნა, თქვა მან, რომ პარტიული ორგანიზაცია ასეთ მოვლენებს ურიგდებოდა. აქ დაწვრილებით ილაპარაკეს იმის შესახებ, რა ზარალი მისცა ამან წარმოებას. და ამის მიზეზია ადამიანებთან ინდივიდუალური მუშაობის შესუსტება. ახლა ამას მწვავედ ვგრძნობთ და მდგომარეობას ყველანაირად ვასწორებთ. ამის შედეგიც არის, რომ მკვეთრად გაიზარდა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, რამაც მეურნეობა მოწინავე პოზიციებზე გიიყვანა...

— ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტი გამონაკლისი როდია, — გვითხრა პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა თეიმურაზ ხაზარაძემ. — ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართავენ იდეოლოგიურ მუშაობას მადნეულის სამთო მამდიდრებელი კომბინატის, ქვეშის, რატევანის საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონის სხვა პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანებთან ინდივიდუალურ, კონკრეტულ მუშაობას.

პარტიის რაიკომის განსაკუთრებული საზრუნავია ჩუნეგრგონ თითოეულ კომუნისტს მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, გაზარდონ ყველა მუშაკის შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობა. და თუმცა გარდაქმნა საკმაოდ რთული პროცესია და ძნელად მიმდინარეობს, კოლექტივებში საერთო ვითარება უმჯობესდება. იგრძნობა მეტი სიცხადე და დამჯერებლობა, ორგანიზებულობა და მიზანსწრაფვა, წესრიგი და დისციპლინა, რამაც თავისი გამოხატულება პოვა საერთო მაჩვენებლებში. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ათი თვის გეგმა რაიონმა 101,2 პროცენტით შეასრულა, ზრდის ტემპმა საგეგმო სამის საცვლად 5 პროცენტი შეადგინა. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გეგმასთან შედარებით მკვეთრად გაზარდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში წარმატებით სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება.

— ამასთანავე უნდა აღინიშნოს ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებიც, — განაგრძობს თ. ხაზარაძე. — კვლავაც მეტისმეტად გატაცებული ვართ აღმზრდელობითი ხასიათის მასობრივი ღონისძიებებით. ვგულისხმობ ოლავალრიცხოვანი აგიტკოლექტივები, ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფები, პროპაგანდისტების, პოლიტინფორმატორების დიდი რაზმი. პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში, ეკონომიკურ სწავლებაში ჩაბმულია ათასობით ადამიანი, ვუშვებთ კედლის გაზეთებს... ცხადია, ეს ძალები და ადამიანებზე ზემოქმედების საშუალებანი გვეჭირდება, მაგრამ, რა დასამალია, ისინი ხშირად ვერ აღწევენ მიზანს, სკოდავენ ზოგადი დებულებებითა და ფუჭსიტყვაობით. ამა თუ იმ ღონისძიებათა განხორციელებისას ხშირად ვლაპარაკობთ უმისამართოდ, თავს ვარიდებთ საქმის ნამდვილი ვითარების გამოაშკარავებას, ამა თუ იმ ადამიანის წყენინებას. უნდა ვხელმძღვანელობდეთ კი სკკპ XXVII ყრილობაზე ნათქვამით, რომ დროა თავი დავანებოთ უდგილო დელიკატურობას იქ, სადაც უნდა გამოვიჩინოთ მომთხოვნელობა. ჩვენ საკმაო ძალები გვაქვს ადამიანებთან ინდივიდუალური მუშაობისათვის, რომლის დროსაც საერთო წარმატების მიღმა არ დაიმალება არც პატიოსანი მშრომელი და არც ანტისოციალისტური მორალის მატარებელი...

ამჟამად რაიონში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთვის ღირსეული შეხვედრისათვის. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს გაისად 7 ნოემბრისათვის შეასრულონ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალება.

შრომის ტემპი დღითი დღე მატულობს.

Д. ᲑᲘᲭᲘᲐᲫᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲓᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭოს [illegible] ფუთნუშუშეულისა და მაკარონეულის ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი წარმოებით შრომითი კოლექტივების [illegible] ინტერესების გადიდების ღონისძიებების [illegible] დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პურსაცხობ მრეწველობაში ჯერ კიდევ ნელა წარმოებს მუშაობა პურფუნთუშეულის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის სრულყოფისათვის, რაც იწვევს მოსახლეობის სამართლიან საყვედურს, საკმარისი ყურადღება არ ეთმობა აღნიშნული პროდუქციის საფირმო და სპეციალიზებული ვაჭრობის განვითარებას, მთლიანად არ კმაყოფილდება პატარა ზომის ცალობით პურფუნთუშეულზე მოსახლეობის მოთხოვნა.

სსრ კავშირის მთავრობამ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს, ცენტროსოიუზს, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ პურსაცხობი საწარმოები, დაავალა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესონ პურფუნთუშეულისა და მაკარონეულის ასორტიმენტი და ხარისხი და სრულად დაკმაყოფილონ ამ პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილებანი. გათვალისწინებულია უმაღლესი ხარისხის ფქვილისაგან პურის, რძის პროდუქტების, ფერმენტული და ამ სხვა პრეპარატების გამოყენებით პურის გამომუშავების მნიშვნელოვანი გადიდების დავალებანი, რომლებიც შესამჩნევად ზრდიან ნაწარმის კალორიულობასა და აუმჯობესებენ ხარისხს.

პურფუნთუშეულით მოსახლეობის უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად გათვალისწინებულია ამ ნაწარმის საფირმო და სპეციალიზებული ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

პურსაცხობი მრეწველობის საწარმოთა მუშაკების შრომის სტიმულირების მიზნით 1987 წლის 1 იანვრიდან შემოღებული იქნება ახალი განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები, აგრეთვე გადიდებული ოდენობით დაწესდება ღამით მუშაობისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურება.

სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს, ცენტროსოიუზსა და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ პურსაცხობი და მაკარონის მრეწველობის მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესების, მათთვის საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლების, სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის გაფართოების ღონისძიებანი.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭოს [illegible] საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მიიღეს დადგენილება „ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მუშაკთა მატერიალური სტიმულირ ებ ის შესახებ“.

იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ფიზკულტურისა და სპორტის დაწესებულებების, სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მუშაკთა დაინტერესება გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მომსახურების გაუმჯობესებითა და გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისთვის საჭირო პირობების შექმნით, დადგენილებით გათვალისწინებულია ამ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისა და საკავშირო პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად და შრომითი კოლექტივების თანხმობით მიეცეთ უფლება გამოიყენონ მატერიალური წახალისების ფონდის (მატერიალური წახალისების ერთიანი ფონდის) სახსრების ნაწილი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისათვის.

სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა სსრ კავშირის სახელმწ ი ფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვროს აღნიშნული დაწესებულებების მუშაკთა მატერიალური სტიმულირების პირობები.

ᲨᲔᲦᲐᲒᲐᲗᲛᲘᲡ ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად გაყიდვისას შეღავათების შესახებ“.

კერძოდ, დადგენილებით დაწესებულია, რომ სამამულო ომის ინვალიდებისა და მათთან გათანაბრებული ინვალიდებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვისას საავტორო საწარმოების სასარგებლოდ გადაახდევინონ მიღებული სესხის თანხის ერთი პროცენტი (ორი-სამი პროცენტის ნაცვლად დადგენილი საერთო წესით) საქონლის ფასის მიუხედავად. ამ ინვალიდებისათვის ათას მანეთამდე ღირებულების ნისიად შეძენილი საქონლის გადაცემა წარმოების ამ საქონლის ღირებულების ნაწილობრივი ანაზღაურების გარეშე (ანუ თავდაპირველი შესატანის გარეშე).

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესაბამისად შექმნილია სსრ კავშირის მთავრობის შემდეგი მუდმივმოქმედი ორგანოები:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიურო (ბიუროს თავმჯდომარე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი);

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიურო (ბიუროს თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. სილაევი);

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ბიურო (ბიუროს თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. შჩერბინა);

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკური კომისია (კომისიის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი).

(სკკპ ცსკ).

ᲜᲣ ᲓᲐᲕᲐᲚᲐᲪᲕᲔᲗ ᲨᲔᲛᲙᲕᲔᲗᲘᲡ

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲒᲝ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ

ᲡᲣᲚ ცოტა ხანიც და ამოიწურება მეოთხე კვარტალი. პერიოდი, რომელშაც მნიშვნელოვანწილად უნდა დაგვანახვოს, როგორ საფუძველს შევქმნით მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის წარმატებული დაწყებისათვის. ათი თვის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საერთო მდგომარეობა რესპუბლიკის მრეწველობაში არ არის ცუდი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის სახელმწიფო დავალებები. გეგმის გადამეტებით დამზადდა 156,2 მილიონი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 142,7 მილიონი მანეთის პროდუქცია. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 104,7 პროცენტი შეადგინა, რაც შესამჩნევად აღემატება როგორც გეგმით, ისე სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებულს. საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება, წარმატებებია მოპოვებული მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების მხრივაც. მიღწეულია ზოგიერთი სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც.

ყველაფერი, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ გადაუჭრელ პრობლემად რჩება პროდუქციის მიწოდების ვალდებულების შესრულება. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ : მიმდინარე წლის ათ თვეში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაუარესდა ამ მხრივ მდგომარეობა. იმ საწარმოებმა, რომლებზეც ვრცელდება სახელშეკრულებო დისციპლინა, პროდუქციის რეალიზაციის საერთო გეგმა 101,6 პროცენტით, ხოლო მიწოდების ვალდებულების „გათვალისწინებით მხოლოდ 98,4 პროცენტით შეასრულეს და ეს ძალიან სერიოზული ჩამორჩენაა. 152 საწარმომ დააღალატა მომხმარებელი და დააკლო 126,3 მილიონი მანეთის პროდუქცია. გასულ ათ თვეში, მიმდინარე წლის ცხრა თვის მონაცემებთან შედარებით, ამ მხრივ კვლავ მთელი 0,1 პუნქტით ჩამოვრჩით.

დამფიქრებელი სიტუაციაა. დაჩქარების სტრატეგიის პირობებში ხელშეკრულების დაუცველობა აბათილებს სხვა მაჩვენებლების მიხედვით მოპოვებულ წარმატებებს. სახელშეკრულებო დისციპლინას არღვევს ყოველი მეექვსე საწარმო.

განსაკუთრებით ბევრია ასეთი საწარმო ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. მათმა რიცხვმა ზემოხსენებულ პერიოდში 59 შეადგინა. სულ კი ეს მაჩვენებელი ამ სამინისტროში 95 საწარმოზე ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულებას თავს ვერ ართმევს მათი ნახევარზე მეტი. ადგილობრივ მრეწველობაში შექმნილ საერთო არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე ჩვენ არაერთხელ გვქონია ლაპარაკი. ვიცით, რომ ერთი ხელის მოსმით საქმეს ვერ დაეღება ბოლო. ეს ეტაპი ერთ-ორ კვარტალზე გაგრძელდება. ეს ეტაპი ეკონომიკურ ფაქტორებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე, ეკონომიკურ ბერკეტებზე, ეკონომიკურ ინსტრუმენტებზე, ეკონომიკურ ფაქტორებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე, ეკონომიკურ ბერკეტებზე, ეკონომიკურ ინსტრუმენტებზე,

ეხმაურები

ფაქტები • მოვლენები

კეისონ ფომვიხანის მოხსენება

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის IV ყრილობაზე

ვიენტიანი. *აქ გაიხსნა ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის IV ყრილობა.*

მის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ დელეგაცია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჰ. ა. ალიევის მეთაურობით, სხვა პარტიების დელეგაციები.

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება გააკეთა ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კეისონ ფომვიხანმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის IV ყრილობა უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია პარტიის ცხოვრებაში. მისი ამოცანაა ღრმად გაიაზროს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ 10 წელიწადში განვლილი გზა, შეაჯამოს პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულება, შეაფასოს როგორც მიღწევები, ისე ნაკლოვანებანი, დასკვნები გამოიტანოს შეძენილი გამოცდილებიდან. ლაოსის მიერ მიღწეული წარმატებები ადასტურებს პარტიის კურსის სისწორეს, რომელმაც თავიდანვე წამოაყენა ორი სტრატეგიული ამოცანა: სამშობლოს დაცვა და სოციალიზმის მშენებლობა.

ახლა, თქვა მან, მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომლის ბურჯი საბჭოთა კავშირია, ყოველმხრივ ვითარდება, განუხრელად განამტკიცებს თავის, როგორც მსოფლიო რევოლუციური პროგრესისა და ქვეყნად მშვიდობის ბურჯის, როლს.

სკკპ XXVII ყრილობა, ნათქვამია მოხსენებაში, ახალ ეტაპს აღნიშნავს დიდი ლენინის ქვეყნის განვითარებაში. ეს არის მასების შემოქმედებითი აქტიურობის, შეუნარეული-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების ეტაპი. ჩვენ ყოველთვის ცხადად ვიცოდთ, რომ სსრ კავშირი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე და საიმედო საყრდენია. სსრ კავშირთან მტკიცე კავშირურთიერთობა ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ფუძემდებელი პრინციპია. ლაოსში რევოლუციის ყველა გამარჯვებულ განუყოფელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მხარდაჭერისა და ამხანაგური დახმარებისაგან. ლაოსი კვლავაც შეისწავლის სსრ კავშირის საყურადღებო გამოცდილებას, ფართოდ გამოიყენებს მას.

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტია მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვან ინიციატივებს, როგორიცაა ბიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატა ბირთვული გამოცდების მორატორიუმის ცალმხრივი განგრძობით. ჩვენი პარტია იწონებს სსრ კავშირის წინადადებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცებას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, საბჭოთა პოზიციას რეიკიავიკის შეხვედრაზე, განაცხადა ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა.

● მადაგასკარი

სსრ კავშირის ძღვენი

ანტანანარივუ. *სტიქიური უბედურების შედეგად მალაგასის ტუამასინის პროვინციაში დანგრეული სკოლები და საავადმყოფოები, საცხოვრებელი სახლები და გზები აღდგება საშენი მასალების გამოყენებით, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ძღვნად გადასცა მეგობარ მალაგასელი ხალხს. სსრ კავშირმა უსახსიდლოდ მიუცა მადაგასკარს 60 ტონა სახურავი თუნუკი, ორი სატვირთო ავტომობილი და სხვა საშენი მასალები.*

ქალაქ ტუამასინაში ძღვენის გადაცემის ცერემონიაზე გამოვიდა მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟან ბემანანძარი. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირსა და მადაგასკარის დემოკრატიულ რესპუბლიკას აკავშირებთ მეგობრობა და თანამშრომლობა, რომლებიც წარმატებით ვითარდება წლითიწლობით.

დამთავრდა საკონსულტაციო კომისიის მუშაობა

ჟენევა. *აქ მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მუდმივი საკონსულტაციო კომისიის მორიგმა სესიამ.*

კომისია შექმნილია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა 1972 წლის 21 დეკემბრის მორიგების შესახებ მემორანდუმის შესაბამისად, რათა ხელი შეუწყოს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და ბირთვული ომის ატეხვის საშიშროების შემცირების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხელმოწერილ შეთანხმებათა მიზნებისა და დებულებების განხორციელებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

განიხილავენ პალესტინის პრობლემას

ნიუ-იორკი. *„ოკუპირებული პალესტინა უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკადაა ქცეული“ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მეთვალყურის რ. მანსურის ამ სიტყვებმა მისცეს ტონი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში დაწყებულ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ისრაელის მოქმედების საკითხის განხილვას.*

„სახელმწიფო ტერორიზმი, მშობლიური მიწებიდან განდევნა, მკვლელობა, ადამიანის ძირითადი უფლებების ხელყოფა, ეროვნული ეკონომიკის ნგრევა, რეპრესიები, „რკინის მუშტის“ პოლიტიკა, — თქვა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მეთვალყურემ, — მიზნად ისახავს პალესტინელი ხალხის სრულ მოსპობასა და პალესტინელთა მთელი მიწების ანექსიას. რ. მანსურმა აღნიშნა, რომ გენოციდის პოლიტიკას ისრაელი ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო წყალობით, რომელიც პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეა. მან თქვა: ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევა ყველა ჩათრეული მხარის, მათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის მონაწილეობით, გახსნის ამის გზას, რომ სამართლიანად და მტკიცედ მოწესრიგდეს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს პალესტინის პრობლემა.

პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებების განხორციელების სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარემ შრი ლანკის წარმომადგენელმა ნ. ვიჯევარდანემ საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება მიაპყრო იმის, თუ რა ტრაგიკული შედეგები მოუტანა პალესტინელებს დაპყრობილ მიწებზე ტელ-ავივის მიერ განხორციელებულმა ძალადობის ესკალაციამ.

● თურქეთი

გაიხსნა ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის სესია

სტამბოლი. *აქ გაიხსნა ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის 32-ე სესია. ნატოს ბლოკის ამ საპარლამენტო ორგანიზაციის სესიის დღის წესრიგის მთავარი საკითხებია საერთაშორისო ვითარება რეიკიავიკის შეხვედრის შემდეგ, ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესების პერსპექტივები, განიარაღების შესახებ ვენისა და უენევის მოლაპარაკებათა მიმდინარეობა.* როგორც ასამბლეის გენერალურმა მდივანმა პეტერ კორტერიემ განაცხადა, სესიის მონაწილენი განიხილავენ აგრეთვე სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამისადმი მოკავშირეთა დამოკიდებულების საკითხს, რომელმაც, მისი თქმით, „ესოდენ ფართო ოპოზიცია გამოიწვია მსოფლიოში“. სესიის მუშაობის მეორე ასპექტი, თქვა მან, იქნება დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, განსაკუთრებით სავაჭრო-ეკონომიკურ დარგში გაურკვეველი ურთიერთობა, რომელიც ატლანტიკის ორივე მხრის პარლამენტართა შეშფოთებას იწვევს“.

„ჟორიეთის“ ცნობით, ახლანდელი სესიის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბერძნეთის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელიც, როგორც გაზეთი წერს, ბოლო წლებში „ნატოს საწინააღმდეგო განწყობილების რუპორი“ გახდა ნატოში.

დასავლეთ ევროპის პრესის ცნობებით, ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები კვლავ ეცდებიან ზეგავლენა მოახდინონ თურქეთზე, რათა დაითანხმონ იგი და მის ტერიტორიაზე განალაგონ ახალ სახეობათა ამერიკული ბირთვული იარაღი.

ფაქტის კომენტარი

ჯ. შულცის სიტყვიერი ხრიკები

ვაშინგტონი. *გააქრცელეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის გამოსვლის ტექსტი. სესია გაიმართა გვატემალაში, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ცენტრალური ამერიკის მდგომარეობა.*

რა აზრი გაუზიარა შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა თავის კოლეგებს, რომლებიც შეშფოთებული ჰრიან ამ რეგიონში მზარდი დაძაბულობის, განსაკუთრებით ნიკარაგუის წინააღმდეგ ვაშინგტონის მიერ გაჩაღებული გამოუცხადებელი ომის გამო? უწინარეს ყოვლისა მან გამოთქვა იმედი, რომ ცენტრალური ამერიკის ხალხებს „შეუძლიათ მიაღწიონ მშვიდობას, განვითარებასა და სამართლიანობას გარედან ჩაურევლად, თავიანთი გადაწყვეტილებებისა და გამოცდილების საფუძველზე“.

სახელმწიფო მდივანს აქ რომ შეეწყვიტა თავისი ენაწყლიანობა, მსმენელს შეიძლება ეფიქრა, ხომ არ განუზრახავს ვაშინგტონს აგრესიულ თვითნებობაზე ხელის აღებაო. სწორედ სხვათა საშინაო საქმეებში ჩარევაზე, მასირებულ აგრესიაზე უარის თქმას მოითხოვს მისგან ნიკარაგუელი ხალხი. ცენტრალური ამერიკის პრობლემების მშვიდობიანი პოლიტიკური გზით მოწესრიგება მოითხოვეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ტრიბუნიდან გვატემალის საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. კინენესმა, პერუს წარმომადგენელმა ლ. გოსსალემმა, მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. სეპულვედამ და სხვებმა.

მაგრამ სახელმწიფო მდივანმა, სიტყვას რომ განაგრძობდა, ზოგი რამ „დაუზუსტა“, საიდანაც აშკარა გახდა, რომ იგი ამერიკის ჩარევას აღკვეთაზე კი არა, პირიქით, მის შემდგომ გაფართოებაზე ლაპარაკობდა. ეს ნიკარაგუა, და მასთან ერთად კუბა, საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნებია, ამტკიცებდა იგი, „ამჟამად რომ აღვიგვენენ არასტაბილურობასა და ძალმომრეობას ცენტრალურ ამერიკაშიო“. ეს სანდინისტებია, მკრეხელობდა ჯ. შულცი, „სომოსის წინააღმდეგ რევოლუციის პრინციპები“ რომ დაამანინჯესო“ ამრიგად, ყველაფერი რომ თავდაყირა დაეყენა, სახელმწიფო მდივანი ცდილობდა დაესაბუთებინა შეერთებული შტატების „უფლება“ სრადიოდეს ცენტრალურ ამერიკაში თვითნებობისა და უკანონობას.

მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სომოსა, სანამ იგი აჯანყებულმა ხალხმა არ დაამხო, ძალაუფლებას ამერიკული ხიშტებითა და ამერიკული დოლარებით ინარჩუნებდა. არანაკლებ ცნობილია ისიც, რომ „ქონტრასთა“ ტერორისტული ბანდების ბირთვს, რომლებსაც შეერთებული შტატები „მეამბოხე ნიკარაგუაში აგზავნის, ყოფილი სომოსელი არამზადები შეადგენენ.

თავის დროზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაკვლევინა აუგუსტო სესარა სანდინო. ახლა ლამობს სისხლში ჩაახშოს ნიკარაგუის სახალხო გმირის ოცნება ეშმაკურად თავისუფალ სამშობლოზე, რომელმაც სანდინისტურ რევოლუციაში შეისხა ხორცი.

პრიზები საუკეთესო ფეხბურთელებს

პარიზში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ყოველკვირეულ „ფრანს-ფუტბოლისა“ და „ადიდასის“ პრიზები.

პრიზი „ოქროს ბუცი“ მიიღო ევროპის ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირმა, ჰოლანდიის „აიაქსის“ თავდამსხმელმა მარკო ვან ბასტენმა, რომელმაც გასულ სეზონში 37 ბურთი გაიტანა. „ვერცხლის ბუცით“ დაჯილდოვდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფორვარდი ოლეგ პრატასოვი (35 ბურთი), „ბრინჯაოს ბუცით“ — ავსტრიელი ანტონ პოლსტერი და თურქი ფეხბურთელი ტანიუ კოლაკი (33-33).

სპეციალური პრიზები გადაეცათ მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე საუკეთესო ფეხბურთელებს. „ოქროს ბურთი“ მიიღო არგენტინელმა დიეგო მარადონამ, „ვერცხლის ბურთი“ — გფრ-ის ნაკრების მეკარემ ჰარალდ შუმახერმა, „ბრინჯაოს ბურთი“ — დანიელმა თავდამსხმელმა პრებენ ლარსენ-ელკიაერმა. „ოქროს ბუცი“ მიეკუთვნა აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს გარი ლინეკერს (ინგლისი), რომელმაც 6 ბურთი გაიტანა.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკვეთილო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი კიევის „დინამოსსა“ და „მეტალისტს“ შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს კიეველებმა. ახლა გათამაშდების ცხრილის პირველ ექვსეულში არიან: მოსკოვის „დინამო“ — 34 ქულა, „სპარტაკი“ — 33, „ზენიტი“ და „შახტიორი“ — 31-31, კიევის „დინამო“ — 30 და თბილისის „დინამო“ — 29 ქულა.

ფრანგეთი. ტოკიოში მიმდინარე იაპონიის თასის გათამაშების მორიგი შეხვედრა საბჭოთა კავშირის ჯაფთა ნაკრებმა მოუგო სამხრეთ კორეის გუნდს — 3:0. შეჯიბრების დაუმარცხებლად ლიდერობენ სსრ კავშირისა და აშშ-ს ფრენბურთელები.

ჰალოსნობა. სოფიაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი. აქ მედლების კიდევ ერთი კომპლექტი გათამაშდა, ამჯერად — 90 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში. კარგად იასპარეზა საბჭოთა ათლეტმა ანატოლი ხრაპატიმ. მან ორშეიდში 412,5 კგ. დაგროვა და ოქროს მედალს დაეუფლა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა ვიქტორ სოლოდოვს (407,5 კგ), ბრინჯაოსი —უნგრელ ძალოსანს ზოლტან ბალაშფის (392,5).

ველოსიპორტი. საფრანგეთის ქალაქ ბერსეს ტრეკზე ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა ფრანგმა ველოსიპედისტმა ქალმა ანნი ლონგომ. მან ყველას აჯობა 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში — 3. 45, 64. ლონგომ თავისივე მსოფლიო რეკორდი 4 წამით გააუმჯობესა.

სროლა. ჩინეთის ქალაქ კუნმინში გამართულ შეჯიბრებებზე 15 წლის გოგონამ ში მეიიუნმა მიცრეალბრიანი შაშხანის წოლილა მდგომარეობიდან სროლაში 599 ქულა დაგროვა და მსოფლიო რეკორდი დამყარა. აღსანიშნავია, რომ მან 15 წლისწინანდელი მსოფლიო მიღწევა (598) გააუმჯობესა.

შაში. ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის სამი ტურის შემდეგ სამი ქულით ლიდერობს ჰოლანდიელი რობ კლერკი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება სსრ კავშირის ჩემპიონი ალექსანდრე დობმანი.

სასამართლო დარბაზიდან

სიმთვრალისათვის მართვა აუკრძალეს, მაგრამ...

სამგორი. № 25 სამშენებლო მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშა-ბრიგადირს დავით ჭიჭიკოს ძე ჟორჟოლიანს, რომელიც მანქანის საქეს მთვრალი მიჯდომოდა, ერთი წლით აუკრძალეს მართვის უფლება, მაგრამ იგი არ დაემორჩილა ამ სამართლიან გადაწყვეტილებას.

ამას წინათ მან ჩვეულებრივ ჩაიქროლა ქალაქის ქუჩებში მამის „ეიგულითი“. როცა ძნელაძის ქუჩაზე გავიდა, სიჩქარეს უმატა, საქე გაექცა და ქვეითად მოსიარულე მოქალაქეს გრიგოლ ახობაძეს დაეჯახა. დაზარალებული ველას ითხოვდა, ლაჩარი მკვლელი გაიქცა, მიიმალა. ახობაძე საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ მეორე დღეს გარდაიცვალა.

სამტრედიის სახალხო სასამართლომ დ. ჟორჟოლიანს 8 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. დ. ჟორჟოლიანს საქესთან ჯდომის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა, იგი მაინც პარპაშობდა, დაიჭროლებდა „ეიგულს“. ეს კი ყურადღებიდან „გამორჩათ“ ავტოინსპექციის მუშაკებს, თავის დროზე არ მიიღეს მის მიმართ ზომები, თორემ ასეთი ტრაგედია არ დატრიალდებოდა.

ბ. ჩხაიძე.
„კომუნისტის“ სპ. კორ.

რედაქტორი
ბ. ბედნეიშვილი

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ორშაბათი, 17 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 11.10 — მხატვრული ფილმი „დროა შვილმა ცოლი შეირთოს“. 12.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახლობლების ქუჩა“. 13.00 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ტრესტი“. I სერია. 15.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „საიდუმლოებათა საიდუმლოება“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.45 — საქართველოს ისტორია. 17.25 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლენინგორსკი — ცეცხლოვანი ქალაქი“. 17.45 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოულკა, ვასკა და სხვები“. 18.15 — ქართული მულტიპლიკაციური კინო-50. ნახატი ფილმი „ობობა და მზე“. 18.30 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 19.00 — „მიწის საყვედური“ (რესპუბლიკაში სავარაუდოს ათვისების შესახებ). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.55 — ლიტერატურული თეატრი. „მარკ ტვენი“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ — „მეგობრობის თეატრი“ (კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები კაუნასში).

მეორე პროგრამა. 16.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ვინ შეკაზმავს ცხენს?“. 17.50 — დოკუმენტური ფილმები „მაღალი ზღურბლი“ და „ლატვია ფრენის სიმაღლიდან“. 18.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიყვარს ეს მიწა“.

სამშაბათი, 18 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზელოსნები“. 10.50 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 11.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი საქართველოსათვის, ბიეზეთო, სწორდით!“ 11.40 — „ბალეტის მოყვარულთათვის“ (განმეორებით). 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტებისათვის. ქიმია. 14.15 — მხატვრული ფილმი „ოპერაცია ტრესტი“. II სერია. 15.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ორ ნაბიჯში პოლარული წრიდან“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.55 — „საბჭოური ცხოვრების წესი“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დირექტორ ნაიდოვის ვარდი და ეკალი“. 17.25 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩორბალი“. 17.45 — ქართული მულტიპლიკაციური კინო-50. ნახატი ფილმი „გულუბრყვილო ბატის ტასიკოს თავგადასავალი“. 18.10 — მოსწავლეთათვის. „უფროსების მხარდამხარ“. 18.50 — შეხვედრა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძესთან (განმეორებით). 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „მანდილოსნის ტანგო“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.50 — ახალგაზრდობისათვის. „ზაფხული, ზაფხული“... 23.20 — ქართული საესტრადო მელოდიები.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გვალვის საწინააღმდეგოდ“. 17.05 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 17.50— დოკუმენტური ფილმი „ძველი ქალაქის სიცოცხლე“. 18.10 — მოსწავლეთათვის. ბიოლოგია.

ოთხშაბათი, 19 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 —დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მზად ყოფნა ასაფრენად“. 10.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მგზავრი“. 11.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები“. თენგიზ სანაძე (განმეორებით). 12.25 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 12.55 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“ (განმეორებით). 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 14.15 — მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ტრესტი“. მესამე სერია. 15.40 სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ციცაბო“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თბილისის საარტილერიო სასწავლებელი“. 17.15 — „ჩვენი კორესპონდენტები მოგვითხრობენ“ (მ.). 17.45 — კინოჟურნალი. 17.55 — ახალგაზრდების ხელოვნება. უკრავს მარინე მეტრეველი. 18.15 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი“. 19.30 — „დღეს სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეა“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მულტიპლიკაციური ფილმი (მ.). 20.10 — „სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღე“ (მ.). 20.25 — მოამბე. 21.00 — მუსიკის სამყარო. სატელევიზიო ჟურნალი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ბალეტის მოყვარულთათვის. 24.00 — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. გდრ-საფრანგეთი (მეორე ტაიმი. რეპორტაჟი გდრ-დან).

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოხუცი“. 17.45 — განცხადებები. 17.50 — დოკუმენტური ფილმი „ახალი ადათები ცხოვრებაში“. 18.10 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

ხუთშაბათი, 20 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — მხატვრული ფილმი. „მანდილოსნის ტანგო“. 11.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნუ მიფრინავთ, გედებო“. 13.30— საინფორმაციო გამოშვება. 13.45 მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი“ (განმეორებით). 14.20 — მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ტრესტი“. მე-IV სერია. 15.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კანამეხელი მწყემსი“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეგეგრგოთ“. 17.15 — ქართული მულტიპლიკაციური კინო-50. ნახატი ფილმი „კაქტუსი“. 18.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ამის დავიწყება არ შეიძლება“. 18.40 — ლენინური ვვარდიის ჯარისკაცები. ალექსანდრე წულუკიძე. 19.00 — „ყვარლიდან მთაწმინდამდე“ (ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის გამო). მესამე გადაცემა). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ. „საკასტრელო დღიური“. (მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები ლენინგრადში). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საკასტრელო დღიური“ (მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები ლენინგრადში). გაგრძელება. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება. 24.00 — საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. ფინალი. გადაცემა უნგრეთიდან.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეც ერთი მათგანი“. 17.05 — მოსწავლეთათვის. ბიოლოგია და ჯანმრთელობა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბილიკი გზად იქცევა“. 18.10 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

პარასკევი, 21 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მეთევზის პური“ და „სამუშაო ადგილზეა პატრონი“. 11.00 — „მსოფლიო და ახალგაზრდობა“ (მ.). 11.35—„კომედიის საღამო“ (განმეორებით). 12.35 — დოკუმენტური ფილმი „ჭადრაკი ანფასსა და პროფილში“. 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — კონცერტი „ესპანური მოტივები“ (განმეორებით). 14.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბებერი მეზურნეები“. 15.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „მეძღოლები“. 17.55 — განცხადებები. 18.00 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „მეგობრობის მერიდიანზე“. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ფისუნია ყენიაზე“. 18.45 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა— „მეგობრების ,, გამოცდილება“. 19.25 — ახალგაზრდობისათვის. „რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედას“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — სტუდია „დიალოგი“. 21.30 — დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ. მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების II საკავშირო ფესტივალი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის. („ვაჟა-ფშაველას ნაანდერძევი“. (კითხულობს გ. ხარაბაძე). 0.10 — „მღერის ანსამბლი „რიკი ე პოვერი“ (მ.).

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ფველაფერში დამნაშავეა ზალინა“. 17.50 — განცხადებები. 17.55 — კინონარკვევი „ჩუგუნკა“. 18.05 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

შაბათი, 22 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მთვარის ტურბინების ენერგია“. 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მუმიათ ლეგენდები და სინამდვილე“. 11.20 — „ქართული ესტრადა დღეს“ (განმეორებით). 12.20 — პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „კლემენტ გოტვალდი“ (მ.). 13.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.05 — ახალგაზრდობისათვის. ჩვენი თვითმოქმედება. 13.50 — — დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ. „მეგობრობა გზად და ხიდად“ (ლიტერატურული უბბეკეთი). 14.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.45 — „სოფლის კლუბში“ (ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის კულტურის სახლის საქმიანობის შესახებ). 15.05 — შეგისწავლოთ რუსული ენა. 15.35 — საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.35 — შემოქმედებითი პორტრეტები. დემნა შენგელია (განმეორებით). 17.25— „კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი — არც თავის ედიასა“. 18.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.10 — ქართული მულტიპლიკაციური კინო-50“. ნახატი ფილმი „რა ნინა“. 18.20 — სატელევიზიო ლიტერატურული ჟურნალი „ნომელი“. 19.15 — „კავშირგაბმულობა — პრობლემები, ამოცანები“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ლიტერატურული თეატრი. „მეგბადური და ქალიშვილი“. 21.00 — ტელეხიდი საბჭოთა კავშირინფოეთი (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — თბილისის „დინამო“. 21 ნოემბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. 23.30 — საესტრადო კონცერტი.

კვირა, 23 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს ბინილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მთვარის ტურბინების ენერგია“. 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მუმიათ ლეგენდები და სინამდვილე“. 11.20 — „ქართული ესტრადა დღეს“ (განმეორებით). 12.20 — პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „კლემენტ გოტვალდი“ (მ.). 13.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.05 — ახალგაზრდობისათვის. ჩვენი თვითმოქმედება. 13.50 — — დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ